

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის სპორტისა და სტუდენტური ცხოვრების ორგანიზების სამსახურის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ეს დებულება განსაზღვრავს ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) სპორტისა და სტუდენტური ცხოვრების ორგანიზების სამსახურის (შემდგომში - სამსახური) სამართლებრივ სტატუსს, უფლებამოსილებას, ანგარიშვალდებულებას და აწესრიგებს მის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

2. სამსახური წარმოადგენს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის - კანცლერის დაქვემდებარებაში არსებულ სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს ამ დებულებით, უნივერსიტეტის წესდებით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის საქმიანობის მარეგულირებელი სხვა შიდა დოკუმენტებით.

3. სამსახური ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის დამფუძნებლის სრულუფლებიანი წარმომადგენლის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერის) წინაშე და ასრულებს რექტორის მითითებებსა და დავალებებს.

მუხლი 2. სამსახურის ფუნქციები

სამსახური საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში:

ა) ხელმძღვანელობს უნივერსიტეტში კულტურისა და სპორტის სფეროსთან დაკავშირებულ საუნივერსიტეტო საქმიანობას;

ბ) უზრუნველყოფს დამატებითი (კურიკულუმის გარეშე დაგეგმილი აქტივობების - სპორტული, ხელოვნების, შემეცნებითი) აქტივობების ორგანიზებას, წახალისებასა და სტუდენტური ინიციატივების ხელშეწყობას, გეგმავს სხვადასხვა გასვლით ღონისძიებებს, ოლიმპიადებს, შეჯიბრებებს, უნივერსიადებს და სხვა;

გ) ხელს უწყობს სტუდენტური ცხოვრების განვითარებას;

დ) ხელს უწყობს სპორტის პოპულარიზაციას და უზრუნველყოფს სტუდენტთა ჩართულობას სპორტულ ცხოვრებაში;

ე) სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით ქმნის შესაბამის სტუდენტურ გუნდებს და უზრუნველყოფს მათ მომზადებას;

ვ) უზრუნველყოფს სპორტული ინვენტარის გამართულ ფუნქციონირებას და ზრუნავს სპორტული დარბაზის განახლება/განვითარებაზე;

ზ) ამყარებს კონტაქტებს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და შესაბამის ორგანიზაციებთან სპორტისა და კულტურის სფეროში;

თ) ხელს უწყობს სტუდენტური პროექტების განხორციელებას და საჭიროების შემთხვევაში მიმართავს უფლებამოსილ პირს სტუდენტური პროექტების დაფინანსების შესახებ;

- ი) თანამშრომლობს უნივერსიტეტის სტუდენტურ თვითმმართველობასთან და ახორციელებს მის მხარდაჭერას;
- კ) ამზადებს ანგარიშს განუული საქმიანობის შესახებ და წარუდგენს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს;
- ლ) შეიმუშავებს რეკომენდაციებს და წინადადებებს სტუდენტური და სპორტული ცხოვრების შემდგომი განვითარებისთვის;
- მ) მონაწილეობს უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შექმნაში/განვითარება/განხორციელებაში;
- ნ) საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესებისა და ეფექტიანობის გაზრდისათვის შეიმუშავებს რეკომენდაციებს და წარუდგენს ხელმძღვანელობას;
- ო) ახორციელებს ისეთ ფუნქციებს, რაც არ არის გათვალისწინებული ამ დებულებით, მაგრამ გამომდინარეობს უნივერსიტეტის საჭიროებიდან.

მუხლი 3. სამსახურის ხელმძღვანელობა

1. სამსახური წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულს, რომელსაც ხელმძღვანელობს უფროსი. სამსახურის უფროსს დამფუძნებლის სრულუფლებიან წარმომადგენელთან ზეპირი შეთანხმების საფუძველზე თანამდებობაზე ნიშნავს/ათავისუფლებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი - კანცლერი.
2. სამსახურის თანამშრომელთა რაოდენობა განისაზღვრება უნივერსიტეტის საშტატო განრიგის შესაბამისად, ხოლო თანამშრომელთა უფლებამოსილებები, რომელთა მეშვეობითაც უზრუნველყოფილია ამ დებულებით სამსახურისთვის განსაზღვრული ფუნქციების შესრულება დგინდება დასაქმებულებთან გაფორმებული ხელშეკრულებებითა და სამუშაოს აღწერილობებით.

მუხლი 4. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე დებულებაში ცვლილების შეტანა ხორციელდება მისი მიღებისთვის დადგენილი წესის შესაბამისად.
2. სამსახურის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხორციელდება უნივერსიტეტის დამფუძნებლის სრულუფლებიანი წარმომადგენლის ბრძანებით.